



ქართული უნივერსიტეტის
 ხუმბოლტი ინსტიტუტი
 NATIONAL INSTITUTE
 FOR HUMAN RIGHTS

2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში: იდეალური კონსტიტუციის კიდევ ერთი გზააბნეული ძიება თუ რეალური შესაძლებლობა?

დავით ზედელაშვილი

პირველად გამოქვეყნდა ConstitutionNet.org -ზე- <http://www.constitutionnet.org/news/2017-constitutional-reform-georgia-another-misguided-quest-or-genuine-opportunity>

ინგლისურიდან თარგმნა ანა ჯიქურიძემ

2017 წლის კონსტიტუციური რეფორმის წამოწყება

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად პარტია „ქართული ოცნება“ პარლამენტში წარმოდგენილია საკონსტიტუციო უმრავლესობით. 2016 წლის 15 დეკემბრის დადგენილებით კი საქართველოს პარლამენტმა შექმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელიც თავისმხრივ მნიშვნელოვანი მექანიზმია პარტია „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამაში გაწერილი კონსტიტუციური რეფორმების განსახორციელებლად.

დღეს მოქმედი საქართველოს კონსტიტუცია წარმოადგენს ძირითადად პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილებების მემკვიდრეობას. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2010 წელს განხორციელებული კონსტიტუციური რეფორმა, რომელმაც შექმნა საპარლამენტო სისტემისკენ მიდრეკილი სახელმწიფო მმართველობის ჰიბრიდული რეჟიმი, სადაც უბრალო დემოკრატიულ უმრავლესობებს შეუძლიათ მმართველობის კომფორტულად განხორციელება. 2010 წლის კონსტიტუციური მოწყობა ქმნიდა დამატებით სირთულეებს ხელისუფლებისა და პრემიერ მინისტრის უნდობლობის გამოცხადების პროცედურის წამოწყებაში, რის შედეგადაც მათი ანგარიშვალდებულება ფაქტობრივად არ არსებობდა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია



ქართვის უნივერსიტეტის
საერთაშორისო ინსტიტუტი
NATIONAL INSTITUTE
FOR HUMAN RIGHTS

ის ფაქტი, რომ შერეული-დამოუკიდებელი საარჩევნო სისტემა წარმოადგენს 1995 წლის საპრეზიდენტო მმართველობის დამდგენი კონსტიტუციიდან გადმონაშთს, რომელიც უბრალო უმრავლესობით გამარჯვებულ პარტიას ჯილდოს სახით ანიჭებს უფრო მეტ ძალაუფლებას და ასეთი პარტია პარლამენტში კვალიფიციური უმრავლესობით შედის. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებიც პირდაპირი ილუსტრაციაა საარჩევნო სისტემის „ზედმეტი უმრავლესობის“ ეფექტისა, რადგან ქართულმა ოცნებამ პროპორციული პარტიული სიით მიღებული საერთო ხმების 48,68%-ით მოიპოვა 115 მანდატი (71 მაჟორიტარულ საოლქო მანდატს პლუს პარტიული სიით მოპოვებული 44 მანდატი) მაშინ, როდესაც პარლამენტში დეპუტატების საერთო რაოდენობა 150-ს შეადგენს.

საპარლამენტო უმრავლესობის არაპროპორციული ძალაუფლება არ არის საკმარისად გაწონასწორებული და გაკონტროლებადი პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტისა და სასამართლო ხელისუფლების, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, ქართული ოცნების პოლიტიკურმა უთანხმოებამ პრეზიდენტისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანი ინსტიტუციონალური ზიანი მიაყენა სასამართლო ხელისუფლებას და, მეორე მხრივ, მმართველ პარტიაში შექმნა პრეზიდენტის ინსტიტუტის დასუსტების განზრახვა.

ერთგვარი ბედის ირონიაა ის ფაქტი, რომ წინა ხელისუფლების მიერ შემუშავებული კონსტიტუციური სისტემა, რომელიც ფართო საზოგადოების აზრით ემსახურებოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ ძალაუფლების შენარჩუნებას, ამჟამად ემსახურება მათ პოლიტიკურ მტრებს - ქართულ ოცნებას. თუ საკითხს შევხედავთ საკუთარი ინტერესებისათვის მოქმედი, რაციონალური აქტორის თვალთახედვით, მაშინ ცხადია, რომ დღეს მოქმედ საკონსტიტუციო უმრავლესობას ყველაზე მცირე ინტერესი აქვს იმ კონსტიტუციის სტრუქტურის ფუნდამენტურად შეცვლის,



ქართული უფლებების
ქრონოლოგიის ინსტიტუტი
NATIONAL INSTITUTE
FOR HUMAN RIGHTS

რომელიც უკვე მათ ინტერესებს არის მორგებული და ამავე დროს დიდი სარგებლის მომტანია ხელისუფლებისთვის. ამჟამად ხელისუფლების მთავარ სურვილს წარმოადგენს საყოველთაო არჩევნებში უბრალო უმრავლესობით გამარჯვებული პარტიის ხელში მქონე აბსოლუტური ძალაუფლების მაკონტროლებელი არსებული სუსტი მექანიზმების მნიშვნელოვნად შესუსტება ან მოშლა და ასევე ქართული ოცნების წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაპირების რეალიზაცია, რომელიც ერთნაირ სქესიანთა დაქორწინების კონსტიტუციურ აკრძალვას გულისხმობს.

საკონსტიტუციო კომისიის გამოწვევები

საკონსტიტუციო კომისიის შექმნის იდეა ემსახურება იმ პრობლემების მოგვარებას, რომლებიც დაკავშირებულია ერთი პარტიის ხელში კონსტიტუციური ცვლილებებისათვის საჭირო უმრავლესობის არსებობასთან. კომისიის შექმნით ხელისუფლება უზრუნველყოფს დემოკრატიულ ჩართულობასა და რაციონალური მოლაპარაკებების გამართვას, რითაც თავის მხრივ ცდილობს გააქარწყლოს ხელისუფლების თვითნებობის შესახებ წარმოდგენა. თუმცა ქართული ოცნების დიდ სურვილს ფართო მონაწილეობის მიღწევის შესახებ ასახავს ის ფაქტი, რომ კომისია შედგება 73 წევრისგან.

მიუხედავად ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილის არსებობისა, ქართულ ოცნებას კომისიაში უმრავლესობის მხარდაჭერის მოლოდინი აქვს, რადგან ამ კომისიის წევრები წარმოადგენენ ისეთ საჯარო ინსტიტუტებს, როგორებიცაა მთავრობა, ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები და ასევე ქართული ოცნების რჩეული ექსპერტები.

პრეზიდენტმა უარი განაცხადა კომისიაში თავისი წარმომადგენლების მონაწილეობაზე, რითაც უნდობლობა გამოუცხადა კომისიას და ხაზი გაუსვა საპარლამენტო უმრავლესობასთან მის უთანხმოებას კომისიის შექმნის წესისა და



ქართული უფლებების
ინსტიტუტი
NATIONAL INSTITUTE
FOR HUMAN RIGHTS

კომისიის შიგნით გადაწყვეტილებების მისაღებად არსებული პროცედურების შესახებ. თავის მხრივ, კომისიაში პრეზიდენტის ინსტიტუტის არარსებობა კინამდვილად იწვევს კითხვის ნიშნებს იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად არის მიღწეული ფართო მონაწილეობა კომისიის შექმნისა და საქმიანობის პროცესში.

მიუხედავად ყველაფრისა, პრეზიდენტს მაინც რჩება მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ძალაუფლება პროცესებზე გავლენის მოსახდენად, განსაკუთრებით ვეტოს გამოყენების უფლებამოსილება პარლამენტის მიერ მიღებულ კონსტიტუციურ ცვლილებებზე. თუმცა ჯერ კიდევ სპეკულაციის თემად რჩება თუ როგორ დასრულდება ინსტიტუციური მეტოქეობა ან რა სასარგებლო გავლენას მოახდენს აღნიშნული მეტოქეობა მიმდინარე პროცესებზე. პრეზიდენტისთვის კი ფსონები კვლავ მაღალი რჩება, რადგან ქართული ოცნების გეგმას და საკონსტიტუციო კომისიის მთავარ განსახილველ თემას წარმოადგენს პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევა და მისი უფლებამოსილებების შესუსტება.

ქართული კონსტიტუციის შექმნის პროექტი - იდეალური კონსტიტუციის გზააზნეული ძიება

ბოლო 25 წლის განმავლობაში მუდმივად მიმდინარე კონსტიტუციური ცვლილებების შემდეგ ამჟამინდელი საპარლამენტო რეზოლუციით კვლავ იწყება კონსტიტუციური რეფორმა, რომლის გაცხადებული მიზანი არის კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტურ პრინციპებთან ჰარმონიაში მყოფი კონსტიტუციის ტექსტის შექმნა. მაშინ, როდესაც კონსტიტუციის შექმნის ყველა მცდელობის რიტორიკამ შექმნა კონსტიტუციური ხელისუფლების იდეალური მოდელის ძიების მოლოდინები, პოლიტიკური ძალები კონსტიტუციური რეფორმების განხორციელებისას ყოველთვის ფოკუსირებას ახდენდნენ თავიანთ პირად პოლიტიკურ ინტერესებზე. ამ ტენდენციის შედეგად კი ყველა საკონსტიტუციო უმრავლესობა მანტრასავით იმეორებს წინა ხელისუფლებების კრიტიკას, რომლებიც კონსტიტუციას თავიანთ



ქართვის უნივერსიტეტის
ქრონიკული ინსტიტუტი
NATIONAL INSTITUTE
FOR HUMAN RIGHTS

პირად პოლიტიკურ მიზნებს არგებდნენ, და ამავე დროს პირობას დებს სახელმწიფოებრივი ზიანის გამოსასწორებლად მოკლევადიანი პოლიტიკურ - ინსტრუმენტალისტური მიდგომის უარყოფაზე.

თუმცა ზემოთ აღნიშნული ხელისუფლების მნიშვნელოვანი დაპირებების შეუსრულებლობა ტრადიციად იქცა, რადგან არ არსებობს რეალური სტიმული ან კონსტრუქციული შეზღუდვები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა კონსტიტუციური რეფორმისგან მოკლევადიანი პირადი პოლიტიკური სარგებლის მოპოვების თავიდან არიდება საკონსტიტუციო უმრავლესობის ცდუნების მოთვინიერების გზით. 2011 წელს, როდესაც კონსტიტუციური ცვლილებებისათვის პარლამენტის სრული შემადგენლობის სამი მეოთხედის თანხმობის საჭიროება დაადგინეს, მცდარი მოლოდინი ჰქონდათ იმასთან დაკავშირებით, რომ ქართული საარჩევნო სისტემის პირობებში ერთი პარტია ვერასოდეს იქნებოდა პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით წარმოდგენილი. ასევე მცდარი წარმოდგენა არსებობდა იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული რეგულაციის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა პოლიტიკური ძალების ურთიერთმხარდაჭერა და კომპრომისებზე წასვლა მოკლევადიანი პირადი სარგებლის მისაღწევად.

პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევა - წმინდა საპარლამენტო რეჟიმისკენ გადადგმული ნაბიჯი ?

სახელმწიფოს მეთაურის არაპირდაპირი წესით არჩევა საპარლამენტო რეჟიმის აუცილებელი თვისებაა. კონსტიტუციური რეჟიმების კლასიფიკაცია მეტწილად აღწერილობითია და ნორმატიულ მნიშვნელობას მხოლოდ ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპების შუქზე იძენს. ხოლო თუ საკითხს შევაფასებთ კონსტიტუციური პრინციპების შუქზე, მაშინ პრეზიდენტის სახალხო ლეგიტიმაციის გაუქმება გამოიწვევს ამ ინსტიტუტის მნიშვნელოვან დასუსტებას, რაც თავის მხრივ



ქართული უნივერსიტეტი
NATIONAL INSTITUTE
FOR HUMAN RIGHTS

გულისხმობს იმას, რომ საპარლამენტო უმრავლესობის/მთავრობის შემაკავებელი და დამაბალანსებელი მექანიზმი ფაქტობრივად უფუნქციო ხდება.

სინამდვილეში მმართველი უმრავლესობისთვის კონტროლდუქტიულია არსებული, უკვე არასაკმარისი კონსტიტუციური დაცვის მექანიზმების მოშლა. მაშინ, როდესაც ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებამოსილებები არ არის საკმარისად წონადი საპარლამენტო უმრავლესობაზე რაიმე მნიშვნელოვანი და ეფექტური გავლენის მოსახდენად, პარლამენტის საპირწონედ პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტის არსებობა უზრუნველყოფს ლეგიტიმაციის მიღებას ინსტიტუციონალური შეზღუდვების, შეჯიბრებითობის და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მუშაობის აღქმის შექმნის გზით.

კონსტიტუციონალიზმის არსს თუ დავუბრუნდებით, მაშინ პრეზიდენტის არჩევის წესის ცვლილებას აუცილებლად თან უნდა ახლდეს ჩამნაცვლებელი კონსტიტუციური მბოჭავი მექანიზმების შექმნა და ყოველი ასეთი შემუშავებული მექანიზმი მკაცრი შეფასების საგანი უნდა იყოს. უნიკამერალური საპარლამენტო რეჟიმი ხშირად დაკომპლექტებულია საპარლამენტო უმრავლესობის ძალაუფლების სხვა ეფექტური კონტროლის მექანიზმებით. აღნიშნული კონსტიტუციური დაცვის მექანიზმების გარეშე სისტემას არ აქვს ნორმატიული გამართლება ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპებთან მიმართებით მაშინ, როდესაც ფორმალურად შესაძლოა ისევ აკმაყოფილებდეს საპარლამენტო რეჟიმის აღწერილობით კრიტერიუმს.

საქართველოს მსგავს კონსტიტუციურ რეჟიმებში, სადაც უნიკამერალური პარლამენტი გამარჯვებულს აძლევს თითქმის სრულ პოლიტიკურ ძალაუფლებას, აუცილებელი კონტროლის მექანიზმები უნდა მოიცავდეს პოლიტიკური ოპოზიციის, განსაკუთრებით, საპარლამენტო ოპოზიციის ფართო უფლებების უზრუნველყოფას და ასევე შეჯიბრებითი საარჩევნო სისტემის არსებობას, რომელიც არ წარმოშობს



ქართული უფლებების
ქრონიკელი ინსტიტუტი
NATIONAL INSTITUTE
FOR HUMAN RIGHTS

კვალიფიციურ უმრავლესობას. ქართული ოცნების საკონსტიტუციო უმრავლესობისთვის მთავარი გამოწვევაა შეძლებს თუ არა გადამეტებული პოლიტიკური ძალაუფლების ცდუნების დაძლევის და შეცვლის თუ არა არსებულ საარჩევნო სისტემას.

რადგან არსებული საარჩევნო სისტემა გამარჯვებულ პოლიტიკურ ძალას აჯილდოვებს კვალიფიციური უმრავლესობით პარლამენტში, საპარლამენტო უმცირესობას აქვს საკმარისი მოტივი ცვლილების მხარდაჭერისთვის. მიუხედავად ქართული ოცნების წინასაარჩევნო დაპირებისა, რომელიც გულისხმობს 2020 წლისთვის ახალი საარჩევნო სისტემის მიღებას, არჩევნების შემდგომ ქართული ოცნების რამდენიმე კანონმდებელმა უარი განაცხადა საარჩევნო სისტემის ცვლილებაზე, განსაკუთრებით ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქების გაუქმებაზე. ამჟამად, საკონსტიტუციო კომისია განიხილავს საარჩევნო სისტემის რეფორმის რამდენიმე ვარიანტს. ერთ-ერთი ვარიანტის თანახმად 75 დეპუტატი აირჩევა ერთიანი-ეროვნული და დახურული საარჩევნო სიების საფუძველზე, ხოლო დანარჩენი 75 დეპუტატი კი რეგიონალურ ბაზისზე შექმნილი მრავალწევრიანი საარჩევნო ოლქების საფუძველზე, რითაც პროპორციული წარმომადგენლობა იქნება უზრუნველყოფილი. რაც შეეხება მეორე ვარიანტს, ამ შემთხვევაში ასორმოცდაათივე დეპუტატი აირჩევა პროპორციული წესით მრავალწევრიანი საარჩევნო ოლქების მეშვეობით (4%-იანი საარჩევნო ბარიერის შექმნით, ხოლო მანდატების გადანაწილება კვოტირების მეთოდითა და ყველაზე დიდი ნაშთის პრინციპით მოხდება).

რაც შეეხება პრეზიდენტის არჩევის ალტერნატიულ წესს, საკონსტიტუციო კომისიაში შესულია ინიციატივა, რომლის თანახმადაც, პრეზიდენტი აირჩევა საარჩევნო კოლეგიის მიერ ხმათა სამი მეხუთედის მხარდაჭერით (მეორე და მესამე კენჭისყრის დროს შეიძლება შემცირდეს უბრალო უმრავლესობამდე). აღნიშნული საარჩევნო კოლეგია კი დაკომპლექტებული იქნება პარლამენტის წევრებით, ავტონომიური



ქართული უნივერსიტეტი
საერთაშორისო
ინსტიტუტი
HUMAN RIGHTS
NATIONAL INSTITUTE
FOR HUMAN RIGHTS

რესპუბლიკებისა და რეგიონების წარმომადგენლობითი ორგანოების დელეგატებისგან ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების ადგილობრივი ჯგუფების მიერ არჩეული დელეგატებისგან.

აღნიშნული ინიციატივა ასევე გულისხმობს პრეზიდენტის, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის, უფლებამოსილებებისა და საერთაშორისო ურთიერთობებში წარმომადგენლობის უფლების წართმევას. პრეზიდენტს მთლიანად ერთმევა საგარეო პოლიტიკის განხორციელების უფლება, მათ შორის მთავრობის რეკომენდაციის საფუძველზე ელჩების დანიშვნისა და უცხოელი დიპლომატების აკრედიტაციის უფლება. თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში კი პრეზიდენტს მცირე უფლებამოსილება უნარჩუნდება - ძირითადად საომარი მდგომარეობის გამოცხადებისა და შეწყვეტის, უშიშროების საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე სამხედრო მეთაურების დანიშვნისა და გადაყენების უფლებამოსილებები.

საკონსტიტუციო კომისიაში ასევე შესულია რამდენიმე ინიციატივა, რომლებიც ეხება საპარლამენტო უმცირესობის მიერ საგამომიებო ან სხვა სახის დროებითი საპარლამენტო კომისიების შექმნის უფლებას უმრავლესობის თანხმობის გარეშე, სადაც კომისიის წევრთა უმრავლესობა არ იქნება საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი. გარდა ამისა, სხვა საკანონმდებლო წინადადების თანახმად მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრა შესაძლებელი იქნება ერთი საპარლამენტო სესიის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ, პარლამენტის წევრთა ერთი მეხუთედის თანხმობით (რაც არსებულ რეგულაციაზე, ხმათა ორი მეხუთედის საჭიროებაზე, დაბალია). თუმცა, საარჩევნო სისტემის რეფორმის გარეშე, დასუსტებული პრეზიდენტის ინსტიტუტისა და საკონსტიტუციო სასამართლოს პირობებში, საპარლამენტო უმცირესობისთვის მინიჭებული აღნიშნული კონტროლის მექანიზმები ცალსახად არ იქნება საკმარისი საპარლამენტო უმრავლესობის ძალაუფლების შესაკავებლად.



ქართული უნივერსიტეტი
საერთაშორისო
ინსტიტუტი
HUMAN RIGHTS
NATIONAL INSTITUTE
FOR HUMAN RIGHTS

მიუხედავად ყველაფრისა, კვლავ ბუნდოვანი რჩება ქართული ოცნება შეძლებს თუ არა კონსტიტუციური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფას და ზემოთ ჩამოთვლილი საკანონმდებლო წინადადებების მიღებას. საკონსტიტუციო კომისიის მომუშავე ჯგუფმა კენჭისყრის შედეგად უკვე უარყო საპარლამენტო უმრავლესობის ძალაუფლების ერთ-ერთი ალტერნატიული დამაბალანსებელი მექანიზმი - ბიკამერალიზმი. თუმცა, მანამ სანამ კომისია ცვლილებების საბოლოო დოკუმენტს არ მიიღებს წინასწარი შეფასებები ნაადრევია და არასრული, ვინაიდან კომპლექსურ კონსტიტუციურ სტრუქტურაში მცირედი დეტალებიც კი ძალიან მნიშვნელოვანია.

ქართულ კონსტიტუციის შექმნის პროცესს აქვს კონსტიტუციური შეზღუდვების ფასადის შექმნის ნეგატიური გამოცდილება. ასევე ერთგვარ ჩვეულებად ჩამოყალიბდა კონსტიტუციის ცვლილების შესახებ საბოლოო დოკუმენტის გამოჩენა კომისიის მუშაობის ბოლო მომენტში, რომელიც არსებითაც გასწავავდება კომისიის მუშაობის პროცესში განხილული ვარიანტებისგან. თუმცა აღნიშნული ნეგატიური გამოცდილების შედეგად გამოწვეული სკეპტიციზმის მიუხედავად, ისევ რჩება იმედი რომ კომისია არ გაიმეორებს კონსტიტუციის შექმნის წინა პრაქტიკებს.

ყველაზე სუსტი შტოს გაძლიერება

სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური ლეგიტიმაციის აშენება გაცილებით რთული პროცესია, რადგან ის ფორმალურად და ხარისხობრივად განსხვავდება ხელისუფლების პოლიტიკური შტოების ლეგიტიმაციისგან. სასამართლოს ლეგიტიმაცია დგას ნამდვილი ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის აღქმაზე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სასამართლოს ლეგიტიმაციის აშენება ხანგრძლივი პროცესია, რადგან ემყარება მის მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილებების გამოტანასა, და ხალხის აღქმას სასამართლოს სამართლისადმი ერთგულების შესახებ.



ქართული უნივერსიტეტი
საერთაშორისო
ინსტიტუტი
HUMAN RIGHTS
NATIONAL INSTITUTE
FOR HUMAN RIGHTS

სამწუხაროდ, ქართულმა სასამართლომ ვერ შეძლო ისეთი ინსტიტუციონალური ლეგიტიმაციის შექმნა, რაც პოლიტიკური შტოებიდან მომდინარე ზეწოლისთვის წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობას მისცემდა. მიმდინარე რეფორმების შედეგად შესაძლოა იმ ზიანის გამოსწორება, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიადგა, თუ ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელების იურისდიქცია გავრცელდება პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების, დელეგირებული კანონმდებლობისა და ინდივიდუალური აქტების კონსტიტუციურ უფლებებთან შესაბამისობაზე, რაც ასევე მოიცავს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული ყველა სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურ შეფასებას. აღნიშნული ცვლილება მისასაღმებელი გაუმჯობესებაა, თუმცა მნიშვნელოვან გავლენას მაინც ვერ მოახდენს სასამართლოს მოქმედ კანონმდებლობაზე სასამართლოში ამჟამად არსებული ინსტიტუციური მდგომარეობის გამო. საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარისა და ორი სხვა მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ პოლიტიკურ ზეწოლას, ინსტიტუციური კონფლიქტი სასამართლოსა და ქართულ ოცნებას შორის დასრულდა. წელს ქართულმა ოცნებამ საკონსტიტუციო სასამართლოს ორი მოსამართლე უნდა აირჩიოს. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის ერთ-ერთ კანდიდატად უკვე დაასახელა პარლამენტის წევრი და ყოფილი ვიცე სპიკერი. ხოლო მოსამართლეობის მეორე კანდიდატს 2017 წლის დეკემბერში დაასახელებს, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოდგილეს უფლებამოსილების ვადა ამოწურება. გარდა ამისა, კომისიაში შესულია ინიციატივა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის რაოდენობის ცვლილების შესახებ, რომლის მიხედვითაც საკონსტიტუციო სასამართლოში ცხრის ნაცვლად თორმეტი მოსამართლე იქნება, რათა ქართულმა ოცნებამ რაც შეიძლება მეტი სასურველი მოსამართლის დანიშვნა მოახერხოს.



ქვეყნის უფლებების
ქონველი ინსტიტუტი
NATIONAL INSTITUTE
FOR HUMAN RIGHTS

სასამართლოს არსებული იურისდიქციის გაფართოება წარმოადგენს ქართული ოცნების ერთ-ერთ მცდელობას გამოასწოროს ის ზიანი, რომელიც ერთნაირ სქესიანთა ქორწინების კონსტიტუციური აკრძალვა მიანიჭებს საქართველოს რეპუტაციას ადამიანის უფლებების მხრივ. გარდა ამისა, საკონსტიტუციო კომისიაში შესული ინიციატივები საფრთხეს ქმნიან ადამიანის სხვა უფლებების მიმართაც. როგორც ჩანს, ქართული ოცნება აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილებების გზით ცდილობს შეცვალოს საკონსტიტუციო სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც მკაცრად არ ეთანხმება. უცხოელი მოქალაქეებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწის მიყიდვის კონსტიტუციური აკრძალვა სრულიად საწინააღმდეგოა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებისა, რომლის შედეგადაც სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის ამკრძალავი კანონმდებლობა ორჯერ გაუქმდა. ქართული ოცნება იგივე მიზნის მიღწევას შეეცდება საკუთრების უფლების კონსტიტუციით დაცული სფეროს შეზღუდვით, და საკუთრების რეგულაციას განახორციელებს გერმანული კონსტიტუციური კონცეფციის - „საკუთრების სოციალური ვალდებულებების“ მეშვეობით. გარდა ამისა, კომისიაში შესული საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც გულისხმობს პირადი ცხოვრების (კონსტიტუციის მე-20 მუხლი) შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნებად ტერმინების „სახელმწიფო უსაფრთხოება“ და „საზოგადოებრივი კეთილდღეობა“ დამატებას და ამასთან ერთად სასამართლო ზედამხედველობის მკაცრი კონსტიტუციური მოთხოვნების შესუსტებას, მიზნად ისახავს საკონსტიტუციო სასამართლოს იმ გადაწყვეტილების გაუქმებას, რომლის შედეგადაც უსაფრთხოების სამსახურს აკრძალა პირდაპირი წვდომა ელექტრონული კომუნიკაციის არხებთან. იმ შემთხვევაში თუ ქართული ოცნება განახორციელებს თავის გეგმებს, საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციის გაფართოვება დიდად ხელს ვერ შეუწყობს ადამიანის უფლებების ჩანაწერების გაუმჯობესებას.



ქართული უფლებების
ქონსტიტუციური ინსტიტუტი
NATIONAL INSTITUTE
FOR HUMAN RIGHTS

კომისიის მუშაობის პროცესიდან ასევე ჩანს, რომ ქართული ოცნება გეგმავს ეკონომიკური თავისუფლების სტრუქტურული კონსტიტუციური გარანტიების შეზღუდვას, რადგან საპარლამენტო უმრავლესობის მთავარ სამიზნეს ახალი გადასახადების შემოღებისათვის ან არსებული გადასახადების გაზრდისთვის კონსტიტუციით მოთხოვნილი სავალდებულო რეფერენდუმის გაუქმება წარმოადგენს. ეკონომიკური თავისუფლების ფარგლების შეზღუდვით კი ქართული ოცნება შესაძლოა დათანხმდეს სოციალური კეთილდღეობის უფლებების გაზრდას კონსტიტუციაში, რასაც ბევრი მომხრე ჰყავს კომისიაში.

მოლოდინები

ქართული ოცნების საკონსტიტუციო უმრავლესობამ აიღო ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპების შესაბამისი კონსტიტუციის შექმნის შესახებ მათ მიერ დეკლარირებული მისწრაფებების შესრულების ვალდებულება. ქართულ ოცნებას არ აქვს საკმარისი სტიმული საკუთარი ძალაუფლების შემზღუდავი ჭეშმარიტი კონსტიტუციური პროცესების უზრუნველსაყოფად. ქართული ოცნების ამჟამინდელი პოლიტიკური ძალაუფლება არ დგას მის მიერ ინსტიტუციონალიზებული ძალაუფლების ფლობის სიმყარეზე, თუმცა ყველა საჯარო ინსტიტუტზე, სასამართლოს ჩათვლით, მოიპოვა კონტროლი.

ქართული ოცნების ძალაუფლებას აქვს ძირითადად სოციალური საფუძველი - მისი დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის სიმდიდრე, და ასევე სოციალურ ინსტიტუტებთან ნაგულისხმევი შეთანხმება იმის შესახებ, რომ არ გადატვირთავდნენ მათ ხელისუფლებიდან მომდინარე რევოლუციური ხასიათის სოციალური ცვლილებებით ვარდების რევოლუციის ხელისუფლებისგან განსხვავებით.

აქედან გამომდინარე, ქართული ოცნებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს თავისი ძალაუფლების ამ სოციალური საფუძვლების დაცვას კონსტიტუციური სტრუქტურის მხარდაჭერით კონცენტრირებული პოლიტიკური ძალაუფლების საწინააღმდეგოდ.



ახანანის უფლებების
ქრონიკალი ინსტიტუტი
NATIONAL INSTITUTE
FOR HUMAN RIGHTS

როგორც გამოცდილება აჩვენებს, ქართული ოცნების მიერ ფლობა კონცენტრირებული პოლიტიკური ძალაუფლებისა შესაძლებელია ნებისმიერ მომენტში დასრულდეს, და მისი სოციალური ძალაუფლების საფუძვლისთვის არაფერი იქნება ისეთი მომაკვდინებელი, როგორც თვითნებური და კონსტიტუციურად გაუკონტროლებადი ძალაუფლება მისი პოლიტიკური მეტოქეების ხელში.